

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა

(CPV: 22110000)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

2014 წელი
ქ. გორი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება	გვ. 3-7
2	დამატებითი ინფორმაცია	გვ. 8
3	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	გვ. 9-12
4	დანართი N 1 - რეკვიზიტები	გვ. 13
5	დანართი N2 - ფასების ცხრილი	გვ. 14
6	დანართი N3 - აფიდავიტი	გვ. 15

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

1.1 სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა.

1.2. დაფინანსების წყარო - **სახელმწიფო ბიუჯეტი** - საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის” (პროგრამული კოდი 32 04 01), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის წარდგენის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის №892 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2013 წლის 29 ნოემბრის №1 ოქმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №1115 ბრძანებისა და 2013 წლის 30 დეკემბრის №09-1/61/81 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - **გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის, ბიბლიოთეკის განვითარების მიზნით**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩარიცხული თანხები.

1.3. ნაბეჭდი წიგნების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის **სავარაუდო ღირებულებაა 9412 (ცხრა ათას ოთხას თორმეტი) ლარი.**

შესასყიდი საქონლის (ნაბეჭდი წიგნები) ტექნიკური პარამეტრები

№	წიგნის დასახელება	ავტორი	გამოცემის წელი	რაოდენობა
1	„ადამიანის ფიზიოლოგია“	ი. კვაჭაძე	2008	3
2	„ადამიანის ანატომია“	ზ. კაციტაძე	2007	5
3	„ადამიანის ანატომიის ატლასი“	ავტორთა კოლექტივი	2008	2
4	„პრევენციული მედიცინა“	ნ. ვეფხვაძე	2009	5
5	„ქცევის ფსიქოფიზიოლოგია“	თ. ნანიშვილი	2003	5
6	"სამედიცინო გენეტიკა"	თ. ლეჟავა	2011	4
7	"ფიზიოლოგია"(ვისცერალური სისტემები)	თ. ლეჟავა, თ. ჯოხაძე, ნ. ჯანგულაშვილი	2004	4
8	"ჰისტოლოგია"	თ. იოსელიანი	2009	4
9	„სამედიცინო ბიოლოგია (პარაზიტოლოგია)“	ა. შათირიშვილი და სხვ.	1996	5
10	"ბოტანიკა" I ნაწილი	ე. გუგავა, ე.ვადიანი, ი.ყარალაშვილი	2003	3
11	"ბოტანიკა" I ნაწილი	ე. გუგავა	2013	5
12	"ბოტანიკა" II ნაწილი	ე. გუგავა	2010	5
13	„ქიმი“ -გადრმავებული კურსი	ს. ადამია	2009	3
14	"ბიოგეოგრაფია"	ა. გეგეჭკორი	2009	2
15	"ეკოლოგიის საფუძვლები"	ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია	2009	3
16	"ბიოსფერო დღეს და მომავალში" (ბიოსფეროს ეკოლოგიური პრობლემები)	გ. ქაჯაია	2012	3
17	"გენეტიკური ამოცანები"	ა. შათირიშვილი	2010	3
18	"ბიოქიმიის საფუძვლები"	გ. ტყემალაძე	2013	5
19	"ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები"	ნ. ალექსიძე	2005	3
20	"საქართველოს მთის მცენარეების სარკვევი"	შ. შეთევასური, მ.ჯაკობი	2011	3
21	"კავკასიის პოლიტიკური ატლასი"(რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი)	ჟან რადვანი, ნ. ბერუჩაშვილი	2009	3
22	„გეოლოგია“	ა. შათირიშვილი, ნ. ცარციძე, ი. ლაზირიშვილი	2011	3

23	„დედამიწათმცოდნეობა“	ც. დონაძე, გ. დვალიშვილი	2013	5
24	„ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია“	ე. დავითაია, ზ. სეფერთელაძე	2012	5
25	„კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი“	პერიოდიკა	2008-2012, N3-8	2
26	„საქართველოს სამხედრო გეოგრაფია“	ნ. ელიზბარაშვილი, თ. დეკანოიძე	2013	5
27	„საქართველოს გეოგრაფია“	პერიოდიკა	2007-2012, N4-9	5
28	„გეოგრაფიის საფუძვლები“	ნ. ელიზბარაშვილი	2008	5
29	„ინტერაქტიული მეთოდების კრებული და ტესტები“	ავტორთა კოლექტივი	2011	5
30	„პედაგოგიკის საკითხები“	ავტორთა კოლექტივი	2013	5
31	„ქართული ენის სწავლების მეთოდისა/დიდაქტიკა“	ნ. მაღლაკელიძე	2010	5
32	„უმალესი მათემატიკის მოკლე კურსი“	ს. თოფურია, ვ. ხოჭოლავა, ნ. მაჭარაშვილი	2009	4
33	„მათემატიკური ანალიზის საფუძვლები“, სახელმძღვანელო ESM-თბილისის სტუდენტებისათვის	ავტორთა კოლექტივი - (ნ. გოგიბერიძე და სხვები)	2006	4
34	„წრფივი ალგებრა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“, სახელმძღვანელო ESM-თბილისის სტუდენტებისათვის	ავტორთა კოლექტივი (ნ. გოგიბერიძე, ფ. დვალიშვილი)	2006	4
35	„Visual C#NET“	რ. სამხარაძე	2009	4
36	„ვიზუალური დაპროგრამირება C# 2010 ენის ბაზაზე“	გ. სურგულაძე	2011	5
37	SQL სერვერი	რომან სამხარაძე	2009	5
38	„NET ტექნოლოგია“	გ. სურგულაძე	2007	5
39	„Физиология спорта“	Дж. Х. Уилмор, Д. Л. Костилл	Киев, 2001	3
40	„გერმანული ენის გრამატიკა“, ოთხტომეული, ტომი I	მ. ანდრაზაშვილი	2008	2
41	„გერმანული ენის გრამატიკა“, ოთხტომეული, ტომი II	მ. ანდრაზაშვილი	2009	2
42	„გერმანული ენის გრამატიკა“, ოთხტომეული, ტომი III	მ. ანდრაზაშვილი	2009	2
43	„გერმანული ენის გრამატიკა“, ოთხტომეული, ტომი IV	მ. ანდრაზაშვილი	2012	2
44	„ლინგვისტური გერმანისტიკა“ (ზოგადი კურსი ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)	მ. გვენცაძე	2009	2
45	„გერმანული ენის ლექსიკოლოგია“	ლ. ქეცბა-ხუნდაძე; დ. გორგობიანი	2012	3
46	საქართველოს დიდება - ენციკლოპედია	კალანდაძე	2009	1
47	„1728 წ. თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“		2009	1
48	„ქართველი ხალხის ისტორია - A HISTORY OF THE GEORGIAN PEOPLE“	ჟ. ალენი	1971	1
49	„აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა“	ბეჟან ხორავა	2004	2
50	„ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში“	მიხ. გონიკაშვილი	1986	2
51	„თურქეთის ისტორია“ (1299 - 2000)	სვანიძე	2007	2
52	„საინგილოს ისტორიის ნარკვევები“		2008	2
53	„სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“		2006	2
54	„საქართველოს ისტორია“	სილოგავა	2007	1
55	„ქართულ - სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან“	მაისურაძე	2008	2
56	„ქრისტიანობის ისტორია კავკასიაში“	თურმანოვი	-	1
57	„ქრონიკები I“	ჟორდანია	2004	2

58	„ჩვენების ისტორია“	ანჩაბაძე	-	2
59	„გლობალური ბიზნესი“	თ. შენგელია	2010	5
60	„ფორმის ანტიკრიზისული მენეჯმენტი“	ნინო ფარესაშვილი	2010	5
61	„საერთაშორისო ფინანსები“	იაშა (იაკობ)მესხია	2012	5
62	„საერთაშორისო ვაჭრობა“	იაშა (იაკობ)მესხია	2011	5
63	„საერთაშორისო ბიზნესი“	თ. შენგელია	2011	5
64	„საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი“	ი. მესხია. დ. ჭიოტაშვილი	2012	5
65	„ფინანსების საფუძვლები“	მ. ვანიშვილი, ნ. ვანიშვილი	2012	5
66	„საბანკო საქმე“	ლ. ქოქიაური	2012	5
67	„ფინანსური მენეჯმენტი“	ლ. ქოქიაური	2012	5
68	„ფინანსური ბაზარი“	ლ. ქოქიაური	2013	5
69	„ინვესტირების საფუძვლები“	ლ. ქოქიაური	2013	5
70	„საინვესტიციო მენეჯმენტი“	ლ. ქოქიაური	2013	5
71	„საინვესტიციო პროექტები“	ლ. ქოქიაური, ბებიაშვილი	2010	5
72	„კორპორაციული ანგარიშგება“	ნ. კვატაშიძე	2012	5
73	„ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“	ე. ხარაბაძე	2012	5
74	„საბუღალტრო-სასამართლო ექსპერტიზა“	გ.ა. სახოკია. შ. ივანიშვილი, გ.გ. სახოკია	2010	3
75	„ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“	გ. ბარბაქაძე. დ. ბიძინაშვილი	2012	5
76	„ფინანსური ანგარიშგება“	ნ. კვატაშიძე, ა. ხორავა, ზ. გოგრიჭიანი	2012	5
77	„ფინანსური აღრიცხვა“	ნ. კვატაშიძე. ა. ხორავა ნ. სრესელი. ზ. გოგრიჭიანი	2012	5
78	„მმართველობითი აღრიცხვა“	ი. ჭილაძე	2010	5
79	„მიკრო და მაკრო ეკონომიკის საფუძვლები“	მ. ვანიშვილი	2009	5
80	„სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის“	ჩ. ნაჩშია, ა. გერერო- ქართულად ნათარგმნი ქ. მარშავას მიერ	2012	5
81	„იურიდიული სტატისტიკა“	ქ. მარშავა, მინდორაშვილი	2011	5
82	„ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“, ნაწ. I-II	გ. თოდუა	2004	5
83	„ეკონომიკური ინფორმატიკა“	მ. მალაძე	2008	3
84	„მოკარნახე დამწყებთათვის“, I-II ნაწ.	დ. სიჭინავა	2009	4
85	„ეკონომიკის პრინციპები“	ა. აბრალავა, პ. ლემონჯავა	2011	5
86	„ეკონომიკური ფსიქოლოგია“	არჩვაძე, ქურხული	2010	5
87	„იურიდიული ფსიქოლოგია“	ამინოვი ი.ი.	2008	5
88	„სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“	მ. ბალაშვილი	2010	5
89	„ფსიქოლოგიის ისტორია“	ი.იმედაძე	2008	5
90	„შედარებითი სისხლის სამართალი“	ჟან პრადელი		3
91	„საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“	მარიამ ცაცანაშვილი	2013	5
92	„ქართველი ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“	გურამ შარაძე	2001	3
93	„ფილოსოფიის შესავალი“	ავტორთა კოლექტივი	2010	5
94	„ვალდებულების შესრულება“	ზურაბ ძლიერიშვილი	2006	5
95	„შესავალი სამოქალაქო სამართალში“	ლადო ჭანტურია	2011	5
96	„ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“	ტურავა, წკეპლაძე	2010	4
97	„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“	ქურდაძე, ხუნაშვილი	2012	5
98	„საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, I	ოთარ მელქაძე	1999	5
99	„საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, II	ოთარ მელქაძე	2002	5

100	„საბანკო სამართალი“	ზ. გაბისონია	2012	4
101	„სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“	გიორგი ნადარეიშვილი	1996	2
102	„რომის სამოქალაქო სამართალი“	გიორგი ნადარეიშვილი	2003	2
103	„რომის სამართალი“	ვალეკო მეტრეველი	2002	2
104	„ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“	გიორგი ნადარეიშვილი	2005	5
105	მსოფლიოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მომდევნებათა ისტორია	გიორგი ნადარეიშვილი	2013	4
106	„შრომის სამართალი“	ძამუკაშვილი	2009	2
107	„მემკვიდრეობის სამართალი“	ზურაბ ახვლედიანი	2007	5
108	„სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“	გივი ინწვირველი	2003	3
109	„თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები“	რენე დავიდი	2010	5
110	„საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა“	გიორგი ნადარეიშვილი	2007	2
111	„სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“	გივი ლობჯანიძე	2011	2
112	„შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“	გივი ლობჯანიძე	2006	5
113	„სისხლის სამართალი/დანაშაული“	ლამარა სურგულაძე	2004	3
114	„კომპიუტერული დანაშაული“	ლამარა სურგულაძე	2003	3
115	„ადმინისტრაციული სამართალი“	იროდიონ სურგულაძე	2002	3
116	„შესავალი გაკოტრების სამართალში“ (დამხმარე სახელმძღვანელო)	როინ მიგრიაული	2006	3
117	„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (კითხვები, პასუხები, რეკომენდაციები)	შორენა ჯანხოთელი	2010	2
118	„სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება“	ლალი ლაზარაშვილი	2003	3
119	„საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები“	დავით ჩიკვაძე	2005	3
120	„კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა“	ბადრი კოჭლამაზაშვილი	2009	3
121	„საეკლესიო სამართლის საკითხები“	დავით ჩიკვაძე	2005	3
122	„შესავალი ქართულ სამართალშემოქმედებაში“	რევაზ რიჟაძე	2006	3
123	„სანივთო სამართალი“	ზურაბ ჭეჭელაშვილი	2009	5
124	„სახელმწიფო სამართალი“		2010	5
125	„ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა“	რამაზ კვარაცხელია	2006	5
126	„ხელშეკრულების განმარტება“	ნ. იოსელიანი	2008	3
127	„განზრახ მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის სხვა შემადგენლობათა კვალიფიკაცია“	რამაზ კვარაცხელია	2008	3
128	„ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება“	თინათინ ჩაჩანიძე	2010	3
129	„საბაჟო გადასახდელებით დაბეგრვა საქართველოში“	გიორგი ლორია	2009	3
130	„გამოძიების პროცესუალური დოკუმენტების ნიმუშები“	მ. ლომსაძე	2010	5
131	„სისხლის სამართლის პროცესი“	მ. ლომსაძე	2012	5
132	„ადვოკატი სამოქალაქო საქმეებზე“	ბ. კაიშაური	2012	3
133	„ბიზნეს სამართალი“		2011	2
134	„კიბერსივრცის სამართალი“		2012	2
135	„პირადი ცხოვრების დაცვა საქ. სამოქალაქო სამართლის მიხედვით“	მ. ბიჭია	2011	2
136	„მფლობელობა და საკუთრება; ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში“	ქოჩაშვილი	2011	2

137	„ძველი სამართლის ბრძოლა ახალ სამართალთან“	თარგმანი ზაზა ნანობაშვილისა	2006	2
138	„ბრძოლა უფლებისათვის“	თარგმანი ზაზა ნანობაშვილისა	2008	2
139	„საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები“		2013	3
140	„მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“		2007	2
141	„განმარტებითი ლექსიკონი საჯარო მოსამსახურეთათვის“		2007	2

1.4. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის, უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

1.5. წიგნების ხარისხის შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირი/პირები, რომელსაც/რომელთაც ნებისმიერ დროს უფლება აქვს/აქვთ შეამოწმოს/შეამოწმონ მიწოდებული საქონელი.

1.6. თუ შესყიდვის ობიექტი არ დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების პირის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზის გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

1.7. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

1.8. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი:

1.8.1. შესყიდვის ობიექტის (ნაბეჭდი წიგნები) მიწოდება უნდა განხორციელდეს **2014 წლის 12 მაისის ჩათვლით.**

1.8.2. წიგნების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე - ქ. გორში, ჭავჭავაძის ქ. №53.

1.9. ანგარიშსწორების პირობები:

1.9.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

1.9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

1.9.3. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები არ განიხილება.

1.10. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

1.10.1. ა) რეკვიზიტები №1 დანართის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი №2 დანართის მიხედვით;

შენიშვნა: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში, ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.1.1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. დამატებითი ინფორმაცია

2.1 ტენდერთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. გორი, ჭავჭავაძის №53, მე-2 სართული, ოთახი №207 ტელ: 0370229490; - ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლიანა აბისონაშვილი - 577 151224

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთი მხრივ, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით და მეორე მხრივ „-----“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ----- სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი SPA-----) საშუალებით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის საგნის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „დღე, კვირა, თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 „ფორს - მაჟორი“ - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპროტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

1.7 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია: „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 ნოემბრის №871 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 04 01), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის წარდგენის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის №892 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2013 წლის 29 ნოემბრის №1 ოქმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №1115 ბრძანებისა და 2013 წლის 30 დეკემბრის №09-1/61/81 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის, ბიბლიოთეკის განვითარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩარიცხული თანხით ნაბეჭდი წიგნების (CPV22110000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. მიღება - ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშ-ფაქტურა).

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს **2014 წლის 12 მაისის ჩათვლით** შემსყიდველის მისამართზე (გორი, ჭავჭავაძის ქ. N53)

5.2 შესყიდვის ობიექტის (საბიბლიოთეკო წიგნები) მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება; აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.1.2 აწარმოოს საქონლის (ნაბეჭდი წიგნების) ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი და ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.4.2 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი.

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. შემსყიდველის ინიციატივით, ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4 ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიეწოდება ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ნაკლის გამოსწორება.

9. ფორს - მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს - მაჟორით.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. პირგასამტეხლო

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
- დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეების უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომში წარმოდგენით.

14.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების შემდეგ.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 15 ივნისამდე.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შესყიდველს.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დანართებით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის საკომუნიკაციო საშუალებები: ტელეფონი, ფაქსი, მობილური, ელ. ფოსტა.

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი ანგარიშის ნომერი:

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა / სახელი, გვარი) -----

ხელმოწერა / ბეჭედი

პრედენდენტის დასახელება _____

№	საქონლის (წიგნები) დასახელება	წიგნის ავტორი	გამომცემლობა, წელი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ფასი	მიწოდების ადგილი და ვადები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9

უფლებამოსილი პირი (თანამდებობა / სახელი, გვარი) -----

ხელმოწერა / ბეჭედი

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/ და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

*მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადებების ფასის გამოთვლის მეთოდი. კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისათვის თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა. ტექნიკური პირობა ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით. პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს. რომლის ხელმოწერი. პრეტენდენტის სახელით. ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტი განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის №195 მუხლის შესაბამისად.